პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 56 (14052) | ხუთშაბათი, 7 მარტი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

გვაცხოვდეს!

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გადაწყვიტეს 1968 წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება გაზარდონ 215 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 210 ათასი ტონის ნაცვლად, უურძნისა — 422 ათას ტონამდე 406 ათასი ტონის ნაცვლად...

ხუთწლედი — ვადამდე!

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეშრომლებმა 1968 წელს სახელმწიფოს უნდა მიაყიდონ: 88 ათასი ტონა მარცვალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 70 ათასი ტონისა, 250 ათასი ტონა ბოსტნეული, ნაცვლად 240 ათასი ტონისა, 125 ათასი ტონა ხილი ნაცვლად 122 ათასი ტონისა, 35 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი ნაცვლად 24.700 ტონისა.

ქუთაისის მეოთხე საკერვალო ფაბრიკაში ფართოდაა გაჩაღებული შეჯიბრება ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. შრომაში აქტიურად არიან ჩაბმულნი კომკავშირული ახალგაზრდები. თქვენ ამ სურათზე ხედავთ ერთ-ერთ მათგანს, მესამე საამქროს მოწინავე მკერავს ე. სირაძეს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

კომუნიკე

კომუნისტური და მუშათა პარტიების საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ

ამა წლის 26 თებერვლიდან 5 მარტამდე ბუდაპეშტში მიმდინარეობდა ქვემოთ ჩამოთვლილი კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრა:

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია, არგენტინის კომუნისტური პარტია, ავსტრალიის კომუნისტური პარტია, ავსტრიის კომუნისტური პარტია, ბელგიის კომუნისტური პარტია, ბულგარეთის კომუნისტური პარტია, ბოლივიის კომუნისტური პარტია, ბრაზილიის კომუნისტური პარტია, ცეილონის კომუნისტური პარტია, ჩილეს კომუნისტური პარტია, კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტია, კოსტა-რიკის სახალხო ავანგარდის პარტია, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, დანიის კომუნისტური პარტია, სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტია, დომინგოს კომუნისტური პარტია, ეკვადორის კომუნისტური პარტია, ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტია, ფინეთის კომუნისტური პარტია, საფრანგეთის კომუნისტური პარტია, საბერძნეთის კომუნისტური პარტია, გვადელუპის კომუნისტური პარტია, გვატემალის შრომის პარტია. ჰაიტის სახალხო ერთიანობის პარტია, ჰონდურასის კომუნისტური პარტია, ინდოეთის კომუნისტური პარტია, ირლანდიის მუშათა პარტია, ერაყის კომუნისტური პარტია, ირანის სახალხო პარტია, ისრაელის კომუნისტური პარტია, იორდანიის კომუნისტური პარტია, კანადის კომუნისტური პარტია, კოლუმბიის კომუნისტური პარტია, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, ლიბანის კომუნისტური პარტია, ლუქსემბურგის კომუნისტური პარტია, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია, მარიოკოს კომუნისტური პარტია, მარტინიკის კომუნისტური პარტია, მექსიკის კომუნისტური პარტია, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია, გერმანიის კომუნისტური პარტია, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, ნიკარაგუას სოციალისტური პარტია, იტალიის კომუნისტური პარტია, პანამის სახალხო პარტია, პარაგვაის კომუნისტური პარტია, პერუს კომუნისტური პარტია, პორტუგალიის კომუნისტური პარტია, რეუნიონის კომუნისტური პარტია, სალვადორის კომუნისტური პარტია, სან-მარინოს კომუნისტური პარტია, ესპანეთის კომუნისტური პარტია, შვეიცარიის შრომის პარტია, სირიის კომუნისტური პარტია, სამხრეთ კავშირის კომუნისტური პარტია, სუდანის კომუნისტური პარტია, თურქეთის კომუნისტური პარტია, ტუნისის კომუნისტური პარტია, ურუგვაის კომუნისტური პარტია, ვენესუელის კომუნისტური პარტია, არალეგალური კომუნისტური პარტია, აგრეთვე ალუირელ კომუნისტთა წარმომადგენლები.

ისლანდიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ და ნორვეგიის კომუნისტურმა პარტიამ საკონსულტაციო შეხვედრაზე გამოგზავნეს მეთვალყურენი.

საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილეებმა თავისუფალი ამხანაგური დისკუსიის ატმოსფეროში აზრები გაუზიარეს ერთმანეთს კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თანამირის მოწვევისა და მომზადების საკითხის შესახებ. ყოველმხრივი განხილვის შემდეგ მათ აზრი გამოთქვეს, რომ ასეთი თანამირი მოწვეულ იქნას მოსკოვში 1968 წლის ნოემბერ-დეკემბერში.

საკონსულტაციო შეხვედრა ხელმძღვანელობს იმით, რომ თანამირის მიზანია განამტკიცოს კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა, ხელი შეუწყოს სოციალიზმისა და დემოკრატიის შთელი ძალების შეკავშირებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში. განიხილა რა წინადადებანი მომავალი თათბირის დღის წესრიგის შესახებ, შეხვედრამ გამოიტანა დასკვნა, რომ დღის წესრიგში საჭიროა დაისვას ერთი საკითხი: თანამედროვე ეტაპზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობა.

შეხვედრის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრით, თათბირისათვის მზადება უნდა მიმდინარეობდეს კოლექტიურობისა და ამხანაგური თანაშრომლობის, ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის იმ თანასწორი უფლების თანმიმდევრულად დაცვის საფუძველზე, რომ მონაწილეობა მიიღონ თათბირის მომზადებასა და მუშაობაში.

თათბირის მომზადების პერიოდში საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილენი შეთანხმდნენ შექმნან კომისია ყველა იმ კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენელთაგან, რომლებიც მოისურვებენ მასში მონაწილეობის მიღებას. თათბირის მოსამზადებელ კომისიას დაევალა განიხილოს და განაზოგადოს მომმე პარტიების ყველა წინადადება და სხვა მასალები, რომლებიც დაკავშირებულია თათბირთან, მოამზადოს მისი დოკუმენტების პროექტები და წარუდგინოს თათბირს. კომისიას აგრეთვე კავშირი ექნება მომმე პარტიებთან ამ საკითხებზე. ასეთი მიდგომა შესაძლებელს გახდის მაქსიმალურად გათვალისწინებულ იქნას მომმე პარტიების ყველა კონსტრუქციული აზრი და წინადადება და კოლექტიურად მომზადდეს საერთაშორისო თათბირი. კომისიის ადგილსამყოფელია ქალაქი ბუდაპეშტი. საკონსულტაციო შეხვედრას საჭიროდ მიაჩნია მოსამზადებელი კომისიის სხდომა მოწვეულ იქნას 1968 წლის 24 აპრილს და ამ სხდომის მოწვევას ავალებს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

შეხვედრის მონაწილენი მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ თათბირი შეეხებამება თვითეული კომუნისტური პარტიისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ინტერესებს, იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი ძალების შეკავშირების ინტერესებს.

საკონსულტაციო შეხვედრა მოუწოდებს ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიას, მათ შორის იმ პარტიებსაც, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით ვერ მონაწილეობდნენ ბუდაპეშტის შეხვედრაში, მონაწილეობა მიიღონ მომავალ თათბირში. საკონსულტაციო შეხვედრა მოუწოდებს მათ ჩაებან მოსამზადებელ მუშაობაში სრულუფლებიანობის საფუძველზე.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს ვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობის წერილი, რომელშიც გამოთქვეს ყველა კომუნისტისათვის საერთო ალტაცების გრძნობა ვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლის გამო და აღუთქვეს მას, რომ დახმარება, რომელსაც მებრძოლ ვიეტნამს უწევენ სოციალისტური ქვეყნები, მსოფლიოს ყველა მშრომელნი, კიდევ უფრო გაიზრდება ვიეტნამის მიწა-წყლიდან ამერიკელ აგრესორთა სრულ განდევნამდე.

ბუდაპეშტის შეხვედრის მონაწილე დელეგაციები დარწმუნებული არიან, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების მომავალი საერთაშორისო თათბირი ექნება დიდმნიშვნელოვანი ეტაპი მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპულ საფუძველზე მთელი მსოფლიოს კომუნისტთა შეკავშირების გზაზე, დიდი ნაბიჯი მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შემდგომი გაერთიანების საქმეში.

საგჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ბუდაპეშტიდან გამოემგზავრა

ბუდაპეშტი, 6 მარტი. (საკდესი). დღეს ბუდაპეშტიდან მოსკოვს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ა. სუსლოვის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრაში, რომელიც ბუდაპეშტში გაიმართა მიმდინარე წლის 26 თებერვლიდან 5 მარტამდე.

ჯილდოები — გამარჯვებულებს

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს კავების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა განიხილეს საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური შეჯიბრების მიხედვით 1967 წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგები.

შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს სამტრედიის ხორცკომბინატის, წითელი წყაროს მთავარი ყველ-კარაქის, ქარხნისა და ცხინვალის ხორცკომბინატის კოლექტივები. მათ მიენიჭათ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს კავების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები.

მეორე ფულადი პრემიებით დაჯილდოებულები არიან თეთრი წყაროს დამამზადებელი კანტორისა და თელავის ხორცკომბინატის, კოლექტივები. მესამე ფულადი პრემიები მიიღეს ტყიბულისა და ახალციხის ხორცკომბინატების კოლექტივებმა. (საქდესი).

სოფიაში გაიხსნა თათბირი

სოფია, 6 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში გაიხსნა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ დელეგაციები: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ტოდორ ჟივკოვის** მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **იანოშ კადარის** მეთაურობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის **ვალტერ ულბრიხტის** მეთაურობით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ვლადისლავ გომულკას** მეთაურობით, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის **ნიკოლაე ჩაუშესკუს** მეთაურობით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. **ბრეჟნევის** მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ალექსანდრე დუბჩეკის** მეთაურობით.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობს აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ი. იაკუბოვსკი.

საგჭოთა დელეგაცია სოფიაში ჩამოვიდა

ბუკარესტი, 6 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს ბუკარესტის ვაგზალში რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩაუშესკუ, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გ. მაურერი და სხვა ოფიციალური პირები შეხვდნენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირში მონაწილეობისათვის სოფიაში მიმავალ საბჭოთა დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

სოფია, 6 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირში მონაწილეობისათვის სოფიაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელსა შემადგენლობაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე კ. ვ. რუსაკოვი.

• • •

სოფია, 6 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ ჩამოვიდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ი. იაკუბოვსკი.

სკკპ-ის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-204“ და „კოსმოსი-205“

1968 **წლის** 5 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-204“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას ამ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს. თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

მიმოქცევის საწყისი პერიოდი 95,9 წუთი;

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) 873 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) 282 კილომეტრი;

ორბიტის დახრილობა 71 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა თანამგზავრზე არის: რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტად გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამთვალითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

1968 **წლის** 5 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-205“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს. თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

მიმოქცევის საწყისი პერიოდი 89,4 წუთი;

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) 310 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) 201 კილომეტრი;

ორბიტის დახრილობა 65,7 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით; რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტად გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო — გამთვალითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრა

ბუდაპეშტი, 5 მარტი. (საკდესის). აქ გავრცელებულ კომენტარებში ნათქვამია, რომ ორშაბათს დილით კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილენი განაგრძობდნენ მუშაობას.

შაბათს, ნაშუადღევს გამართულ სხდომაზე, როგორც უკვე ვიუწყებოდით, გამოვიდნენ სუდანის კომუნისტური პარტიის, შვეიცარიის შრომის პარტიისა და მარტინიკის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები.

მუსტაფა იბრაჰიმმა, სუდანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, თქვა: ჩემი პარტიის აზრით, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობა მსოფლიო სოციალიზმის ზეგავლენის გაძლიერების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების ძირითად მიმართულებას. ამ ერთობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუ დავიცავთ მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდეს, დავაფასებთ მომმე პარტიების გამოცდილებასა და პრაქტიკას, ვეცდებით საერთო პოზიცია გავქონდეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმპერიალისტური კონტრრევოლუციის დამარცხებისათვის საჭიროა ანტიიმპერიალისტური ფრონტის შემდგომი განმტკიცება. სწორედ ამიტომ ჩვენი პარტია მხარს უჭერს, რომ წელსვე მოვიწვიოთ კომუნისტური და მუშათა პარტიების მსოფლიო თათბირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ყველა იმ პარტიათა წარმომადგენლები, ვინც თათბირში მონაწილეობას ისურვებს.

ედგარ ვოლბმა, შვეიცარიის შრომის პარტიის გენერალურმა მდივანმა, აღნიშნა: შვეიცარიის შრომის პარტია მხარს უჭერს წინადადებას, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირი მოიწვიონ წელს მოსკოვში. თათბირის ძირითადი თემა უნდა იყოს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ერთობა იმპერიალიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში. მშვიდობის ძალები გაიზარდა. მაგრამ ბრძოლა ომის გამოაღებლობის წინააღმდეგ ჯერ არ დამთავრებულა. ჩვენს ბრძოლაში ვეყრდნობით ხალხთა ძალას, მაგრამ ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი მოწინააღმდეგის ძალებიც. სწორედ ამიტომ, ახლა, ეიდრე ოდესმე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთობას, მეტი ურთიერთგაგებიერების მიზანი იქნება ერთად გამოვეძებნოთ საშუალებანი, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს საჭირო კალაპოტში მოვაქციოთ ერთობლივი მეცადინეობა დემოკრატიისათვის, ეროვნული განთავისუფლებისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობისათვის. შემდეგ მან აღნიშნა, რომ თათბირი უნდა მოიწვიონ რაც შეიძლება სწრაფად წელსვე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ცალკეული პარტიები ვერ შეძლებენ ან არ მოინდომებენ თათბირის მუშაობაში მონაწილეობას.

შეიხო რა თათბირის მუშაობის შინაარსს, მან განაცხადა, რომ თათბირი მოწოდებულია განიხილოს და დაამტკიცოს დოკუმენტი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დემოკრატიული და კომუნისტური ძალების ერთობის პრობლემის შესახებ.

მან მხარი დაუჭირა იმას, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების მომავალი თათბირი მოიწყოს მოსკოვში.

აგდალენა ლაიაშმა, მარიოკოს კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, თქვა: მარიოკოს კომუნისტური პარტიის აზრით, ამ ბოლო დროისათვის დამახასიათებელია ის, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შეტევა დაიწყო იმპერიალიზმმა, უწინარეს ყოვლისა ამერიკის იმპერიალიზმმა, რომელიც მხარს უჭერს ჩაგვრის სისტემას, ახორციელებს აგრესიის პოლიტიკას.

მარიოკოს კომუნისტურ პარტიას, რომელმაც დაგმო იმპერიალისტური აგრესია ვიეტნამსა და ახლო აღმოსავლეთში, მიაჩნია, რომ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მთელი დემოკრატიული ძალების გადაუდებელი ამოცანაა მოამზადონ კონტრდარტყმა იმპერიალისტური შეტევების წინააღმდეგ.

მარიოკოს კომუნისტური პარტია გადაჭრით მოითხოვს, რომ მოვიწვიოთ გულდასმით მომზადებული თათბირი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მივაღებინოთ ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიას. თათბირის დღის წესრიგი უნდა შემოიფარგლოს იმპერიალიზმის თანამედროვე აგრესიულობის ანალიზით და ამასთან დაკავშირებით ჩვენი მოძრაობის პრაქტიკული ამოცანების განსაზღვრით. ამით, აღნიშნა ორატორმა, შეეიმსუბუქებდით თათბირში მონაწილეობის ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიას, განსაკუთრებით იმათ, ვინც თავის მიწა-წყალზე უშიშარ უბრალოდ უპირისპირდება იმპერიალიზმის აგრესიას.

ყველა კომუნისტი, თქვა მან, შეშფოთებულია მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში არსებული უთანხმოებებით, რომლებიც ხელს აძლევს იმპერიალისტებს, და ისინიც იყენებენ ამ შესაძლებლობებს.

ავსტრალიის დელეგაციის აზრით, კარგად მომზადებული მსოფლიო თათბირი შეიძლება გახდეს წინადადებული ნაბიჯი, თუნდაც პატარა და მოკრძალებული ნაბიჯი ჩვენი მოძრაობის ძალის განმტკიცების, შეკავშირებისა და გაღვივის გზაზე. მან გამოთქვა აზრი, რომ თათბირს უნდა ჰქონდეს ზუსტად განსაზღვრული მიზანი და დღის წესრიგში ორი საკითხი: 1) კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთელი დემოკრატიული ძალების ერთობის განმტკიცება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად; 2) სოლიდარობა ვიეტნამელ ხალხთან ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. დელეგაციამ გამოთქვა იმედი, რომ ეს საკონსულტაციო შეხვედრა ამენება დასაწყისი ახალი პერიოდისა კომუნისტური და მუშათა პარტიების თანამშრომლობისათვის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეთანხმებული და ერთიანი მოქმედებისათვის ბრძოლაში.

ფუად ნასარმა, იორდანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, აღნიშნა: მოვლენები და ცვლილებანი, რომლებიც ბოლო შვიდი წლის მანძილზე მოხდა, განსაკუთრებით ამერიკის აგრესიის ზრდა მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში, ბინძური ომის ესკალაცია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, ისრაელის აგრესია არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, ფაშიზმის ძალების გამოცოცხლება დასავლეთ გერმანიაში, ბონის მმართველი წრეების მისწრაფება ხელი იგდონ ატომური იარაღი, აგრეთვე მთელი რიგი სახელმწიფო გადატრიალებანი, რომლებსაც იმპერიალისტები აწყობენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში,— ყოველივე ეს, ვითვალისწინებთ რა, რომ სწორედ კომუნისტური მოძრაობა ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალა საერთაშორისო მასშტაბით, იწვევს იმის მწვავე საჭიროებას, რომ მოვიწვიოთ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი მოძრაობის ერთობის განსამტკიცებლად მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისათვის. დღეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობა, სოციალისტური ქვეყნების სოლიდარობა არის არა მარტო კომუნისტების, არამედ აგრეთვე მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების საზრუნავი. ახლა ამ ძალების შეგნებული ბელი, რომ ერთობის უქონლობამ ან შესუსტება ხელს აძლევს იმპერიალისტებს, ქმნის იმპერიალისტური აგრესიის გაფართოების შესაძლებლობას. შემთხვევითი როდია, რომ ამერიკის იმპერიალისტების აგრესიულობა გაიზარდა ბოლო წლებში, როცა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში და სოციალისტურ ქვეყნებს შორის წარმოიშვა უთანხმოებანი.

დასასრულ ორატორმა აღნიშნა, რომ დღეს მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების წარმომადგენელთა ყურადღება მიპყრობილია ბუდაპეშტისაკენ, სადაც მუშაობას განაგრძობს საკონსულტაციო შეხვედრა, რომლის წარმატების ასეთი იმედი აქვთ.

მუჰამმედ ჯარმელმა, ტუნისის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, აღნიშნა, თუ რა არასასურველ გავლენას ახდენს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გათიშულობა მესამე სამყაროს პოლიტიკურ მდგომარეობაზე, შეეხო ამ ორი ფორუმის, წინაშე დგას სხვადასხვა და ამავე დროს ერთმანეთის შემავსები ამოცანები. ეუნშეტრეს ყოველისა საჭიროა მოვიფიქროთ კომუნისტურ პარტიათა თათბირი, რომელიც მთელი პროგრესული და ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირების პირობებს უზრუნველყოფს.

რეიუნიონის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, თუმცა გადამწყვეტი ცვლილება არ მომხდარა მსოფლიოს ძალთა თანაფარდობაში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ შექმნილი მდგომარეობის ახალი ნიშანი ამერიკის, იმპერიალიზმის გაზრდილი აგრესიულობაა.

ამერიკის იმპერიალიზმმა, რომლის გზაზე ევროპაში გადაულახავი დაბრკოლებანი აღიმართა, გააქტიურა თავისი საშეიმეულებო, პროვოკაციული და აგრესიული საქმიანობა აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგ. ომის კვალობაზე, თუ როგორ მწიფდება ამ რაიონებში დიდმნიშვნელოვან ცვლილებათა პირობები. იგი უკვე აშკარად ეხლმის თავს სოციალისტურ ქვეყნებს. ამის მაგალითია აგრესიული აქციები კუბის, კორეის წინააღმდეგ და ომი ვიეტნამის წინააღმდეგ.

მაგრამ ამერიკის იმპერიალიზმი ჩიხში მოექცა ვიეტნამში, სადაც ვიეტნამელი ხალხის გამარჯვების შეუძლია ლახვარი ჩასცეს მთელ მის გლობალურ სტრატეგიას. განვლილი 20 წლის მანძილზე არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რომელსაც მოჰყოლოდეს ამერიკის იმპერიალიზმის ესოდენ სრული იზოლაცია, ხოლო იმპერიალიზმისადმი დაპირისპირებულ მხარეს მოეპოვებინოს მსოფლიო საზოგადოებრიობის ასეთი სიმპათია და ასეთი სოლიდარობა.

შ. ა. დანგემ, ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ, ხაზი გაუსვა, რომ საერთაშორისო თათბირმა აუცილებლად უნდა შეიმუშაოს ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული და ნეოკოლონიალისტური იერიშების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო სტრატეგია და ტაქტიკა. მან თქვა, რომ ახლა, როცა ამერიკელები გმირი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიული ომის ესკალაციას ეწევიან, არც ერთ პარტიას არა აქვს უფლება გადადოს ან უარყოს ასეთი თათბირის მოწვევა. ორატორმა ხაზი გაუსვა 1957 და 1960 წლების მოსკოვის თათბირების დოკუმენტების ისტორიულ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ მას შემდეგ საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაში მომხდარი ცვლილებანი კრიტიკულ ანალიზს საჭიროებს. იგი დაუბრალებთ შეეხო ინდოეთის კომუნისტური პარტიის ბრძოლას ინდოეთის რეაქციის თავდასხმების წინააღმდეგ, ილაპარაკა ამ ბრძოლაში შეძენილ გამოცდილებასა და გაკვეთილებზე.

შ. ა. დანგემ განაცხადა, რომ მხარს უჭერს წინადადებას მოვწყოს საერთაშორისო თათბირი მოსკოვში ამა წლის დამლევს, და მიაჩნია, რომ ერთობის მიღწევა

(დასასრული მე-3 გვერდზე).

რევოლუციური ტაქტიკის ნიმუში

რკპ(ბ) VII ყრილობის 50 წლისთავი

მესოფლიო რევოლუციური და კომუნისტური მოძრაობის ისტორია დამაჯერებლად ადასტურებს, რომ დიდია ძალა ლენინური სტრატეგიისა და ტაქტიკისა, რომლებიც თვითეულ ეტაპზე, ზუსტად ითვალისწინებენ რა მებრძოლი კლასობრივი ძალების რეალურ თანაფარდობასა და განლაგებას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე, მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრავენ პოლიტიკურ მოვლენათა განვითარების ძირითად ტენდენციას, უჩვენებენ მუშათა კლასს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლის გზებსა და საშუალებებს. ამის ბრწყინვალე მაგალითია ჩვენი პარტიის VII ყრილობის გადაწყვეტილებანი ბრესტის ზავის დადების შესახებ. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ლენინური პარტიის ეს პირველი ყრილობა დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაში, მან უდიდესი გავლენა მოახდინა სოციალიზმის ბედზე ჩვენს ქვეყანაში და რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე სხვა ქვეყნებში.

რკპ(ბ) VII ყრილობამ მიიღო ისტორიული დადგენილება „პარტიის სახელწოდებისა და პარტიული პროგრამის შეცვლის შესახებ". რსდმპ(ბ)-ს დაერქვა რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) მისი ხაბოლოო მიზნის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს კომუნიზმის აშენებას. იმასთან დაკავშირებით, რომ პარტიის პირველი პროგრამა შესრულებული იყო, ვ. ი. ლენინმა ყრილობაზე წაკითხული თავის მოხსენებაში დასაბუთა პროგრამის შეცვლის, მისი თეორიული, პოლიტიკური და ეკონომიური ნაწილების გარდაქმნის აუცილებლობა.

I.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პირველ პლანზე დადგა ქვეყნის შინაგანი განვითარების ამოცანები — სოციალისტური გარდაქმნების, პროლეტარული სახელმწიფოს ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების განმტკიცების, ოქტომბრის დიდ მონაპოვართა დაცვის ამოცანები. „ყოველი რევოლუცია მხოლოდ მაშინ ღირს რამედ, — გვასწავლიდა ლენინი, — თუ მას შეუძლია თავი დაიცვას".

ბურჟუაზიული რევოლუციები თავს ჩვეულებრივად იცავენ აგრესიული ომებისა და ხალხის მიმართ ძალადობის შემწეობით. სოციალისტური რევოლუცია თავს იცავს არა მარტო პროლეტარული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებით, რომლებიც ოქტომბრის შემდეგ პირველ თვეებში ჯერ მხოლოდ იქმნებოდა, არამედ მშვიდობის პოლიტიკის ძალითაც, რადგან მშვიდობა წარმოადგენს დემოკრატიისა და სოციალიზმის ერთგულ მოკავშირეს, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს განმტკიცების საშუალებას და ამით მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი ობიექტური პირობის შექმნის საშუალებას. სწორედ ამიტომ ჩვენი რევოლუციის პირველი აქტი იყო ლენინური დეკრეტი ზავის შესახებ, რომელიც საბჭოების II ყრილობამ მიიღო. მას შემდეგ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო განუბრალად ახორციელებენ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ნაცად ლენინურ პოლიტიკას.

ითვალისწინებდნენ რა ზავის დადების სოციალურ შედეგებს, შინაგანი კონტრრევოლუციის ძალები დასავლეთელ მოკავშირეებთან ერთად აკეთებდნენ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელი იყო, რათა არ დაეშვათ რუსეთის გამოსვლა ომიდან. ცდილობდნენ ჩაეშალათ საბჭოთა მთავრობის წინადადებანი დაუყოვნებლივი დაზავების და საყოველთაო დემოკრატიული ზავის დასადებად მოლაპარაკების დაწყების შესახებ. ისინი ცდილობდნენ განეგძოთ ომი საბოლოო გამარჯვებამდე და ამავე დროს აწყობდნენ ლაშქრობას პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ, რათა ჩანასახშივე ჩაეხრჩოთ იგი.

II.

საბჭოთა მთავრობამ, რომელიც საბჭოების II ყრილობის ნებას ასრულებდა, დაიწყო გერმანიასთან მოლაპარაკება დროებითი ზავის შესახებ, რაც კიდევაც მიღწეულ იქნა. სამთარი მოკმედება საბჭოთა სახელმწიფოს და გერმანიის ფრონტზე შეწყდა. ბრესტ-ლიტოვსკში დაიწყო მოლაპარაკება ზავის დადების შესახებ. საბჭოთა მთავრობამ არაერთხელ შესთავაზა ანტანტის სახელმწიფოებს მონაწილეობა მიეღოთ მოლაპარაკებაში, მაგრამ ისინი დაუინებით უგულებელყოფდნენ ამ წინადადებებს.

მოლაპარაკებამ ბრესტში ცხადყო გერმანელი მილიტარისტების დამპყრობლური მისწრაფებანი, ან ომის გაგრძელება თავთფენთამდე შეიარაღებულ გერმანიასთან, ან ანექსიონისტური ზავის იმ დამამცირებელი პირობების მიღება, რაც გერმანელებმა წამოაყენეს, — ასე იდგა საკითხი. იმ ვითარებაში, როცა ჩვენს ქვეყანაში გამეფებული იყო ნგრევა, ფრონტი დაიშალა, დასავლეთში რევოლუცია არ ხდებოდა, იმ პირობებში, როცა მიმდინარეობდა დემობილიზაცია ბრძოლის უნარს მოკლებული ძველი არმისა, როცა ჯერ არ იყო მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარი ახალი არმია, ხოლო შინაგანი კონტრრევოლუციამ აჩაღებდა გაფფრებულ ბრძოლას საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო გერმანიის წინააღმდეგ რევოლუციური ომის წარმოება.

ამის შეგნება არასგზით არ უნდოდათ „მემარცხენე კომუნისტებსა" და ტროცკისტებს. მათ გააფთრებული ბრძოლა დაიწყეს ლენინისა და პარტიის წინააღმდეგ. მოითხოვდნენ რევოლუციური ომის წარმოებას გერმანიის წინააღმდეგ. ეს იყო მემარცხენე ფრაზებით შენიღბული ავანტიურისტული ტაქტიკა; იგი ხელსაყრელი იყო მხოლოდ გერმანელი იმპერიალისტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციისათვის.

ტროცკიმ, რომელიც იმ დროს საბჭოთა დელეგაციის მეთაური იყო ბრესტში, გამეცმლურად დაარღვია ვ. ი. ლენინისა და ცენტრალური კომიტეტის მითითებანი სეპარატული ზავის ხელმოწერის შესახებ და მოლაპარაკების შეწყვეტა მოითხოვა. მისი ლოზუნგი „არც ზავი, არც ომი" არსებითად ომის გაგრძელებას ნიშნავდა. „მემარცხენე კომუნისტები" მოითხოვდნენ გერმანიასთან საზავო მოლაპარაკების შეწყვეტას. ზავის დადების წინააღმდეგ გამოვიდა პარტიის ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციაც (მოსკოვის საოლქო ბიურო, პეტერბურგის კომიტეტი და სხვ.), ისინი ანგარიშს არ უწევდნენ ოქტომბრის შემდგომი პერიოდის შეცვლილ პირობებს, როცა საჭირო შეიქმნა ტაქტიკის მკვეთრი შეცვლა ახალ პოლიტიკურ ვითარებაში.

ვ. ი. ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს რომ რევოლუციის მოხდენა უფრო ადვილია, ვიდრე მის მონაპოვართა დაცვა და განვითარება. მხოლოდ ზავის დადება მოგვცემდა შესაძლებლობას სულ მოგვეოქვა, მოგვეგო დრო, გამოგვეყენებინა წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ დაჯგუფებებს შორის და გაგვეძლიერებინა მათთვის გარიგება საბჭოების რესპუბლიკის წინააღმდეგ, მოგვემზადებინა არმია ქვეყნის დასაცავად, განგვმტკიცებინა პროლეტარიატის დიქტატურა როგორც მსოფლიო რევოლუციის ბაზა. მხოლოდ ამ გზით შეეძლო საბჭოთა ქვეყანას შეესრულებინა თავისი ინტერნაციონალური ვალი საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე.

გერმანელებთან ზავის პირობები მძიმე იყო, მაგრამ იმ პერიოდში სხვა გამოსავალი არა გვქონდა, გარდა ზავის დადებისა. გერმანიასთან ომის გაგრძელება მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნიდა ჩვენს ქვეყანას, ფრონტზე დამარცხება გარდუვალად მიიყვანდა დაღუპვამდე საბჭოთა ხელისუფლებას. ამისაკენ უბიძგებდნენ პარტიასა და ქვეყანას „მემარცხენე კომუნისტები" და ტროცკისტები.

28 იანვარს (10 თებერვალს) ტროცკიმ დაარღვია ლენინის მითითება არ დაეთმო, სანამ გერმანელები ულტიმატუმს წამოაყენებდნენ. და გამოაცხადა ომის ცალმხრივი შეწყვეტა. ამ ავანტიურისტული ნაბიჯით დაუყოვნებლივ ისარგებლეს გერმანელმა იმპერიალისტებმა და დაიწყეს ვერაგული შეტევა საბჭოთა სახელმწიფოსა და გერმანიის ფრონტზე, რაც უშუალო საფრთხეს უქმნიდა პეტროგრადს. მათ წამოაყენეს ზავის ახალი, კიდევ უფრო მძიმე პირობები, პარტიამ, მთავრობამ სასწრაფო ზომები მიიღეს ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებისათვის. სახალხო კომისართა საბჭომ 22 თებერვალს გამოსცა ცნობილი ლენინური დეკრეტი „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!", გამოცხადებულ იქნა საყოველთაო მობილიზაცია, იქმნებოდა შეიარაღებული რაზმები, შენდებოდა თავდაცვითი ნაგებობანი. საბჭოთა არმიის ნაწილებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანელ დამპყრობლებს.

23 თებერვალს ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ლენინის წინადადება ზავის დაუყოვნებლივ ხელმოწერის შესახებ, ოპოზიციის ლიდერებმა პროტესტის ნიშნად განაცხადეს, რომ ტოვებდნენ თავიანთ პოსტებს. 24 თებერვალს მოსკოვის საოლქო ბიუროს, სადაც „მემარცხენე კომუნისტები" სჭარბობდნენ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზს უნდობლობა გამოუცხადა და უარი თქვა დამორჩილებოდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებას ბრესტის ზავის დადების შესახებ, და მიიღო გამოშვებული რეზოლუცია, განაცხადა რა, რომ საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებისათვის იგი მზად არის დათანხმდეს საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვის შესაძლებლობაზე, რომელიც ახლა თითქოს წმინდა ფორმალური ხდებოდა.

ზავის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად მაშინათვე მოწვეულ იქნა პარტიის VII ყრილობა. ყრილობის წინ ვ. ი. ლენინმა, ცენტრალურმა კომიტეტმა უდიდესი ახსნაგანმარტებითი მუშაობა გასწიეს. პარტიის ბეჯრმა მსჯველმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ყრილობის გახსნამდე გადასინჯა თავისი პოზიციები ზავის დადების სასარგებლოდ და გამოთქვა სრული თანხმობა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კურსის მხარდასაჭერად.

ყრილობაზე თავის მოხსენებასა და გამოსვლებში ვ. ი. ლენინმა ანალიზი გაუკეთა საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობას, გვიჩვენა კლასობრივი ძალების თანაფარდობა, ცხადყო პრინციპული უთანხმოება „მემარცხენე" ოპოზიციასთან და ტროცკისტან, რომელთა ავანტიურისტულმა, სუბიექტივისტურმა პოზიციამ ქვეყანა ზავის ყველაზე უარეს, მძიმე და დამამცირებელ პირობებამდე მიიყვანა. ლენინმა გამოამჟღავნა ოპოზიციის კლასობრივი ბუნება, დაგვანახვა მისი თეორიული და პოლიტიკური მოსაზრებების მთელი უსუსურობა. „...თქვენ იმპერიალისტური პროვოკაციის იარაღი ხართ, თქვენი ობიექტური როლის მიხედვით, — ამბობდა იგი უფრო გვიან „მემარცხენე კომუნისტებზე", — თქვენი სუბიექტური „ფსიქოლოგია" არის ფსიქოლოგია გაცოფებული ვერცლი ბურჟუჯსი, რომელიც ბაქიბუქობს და ტრაბახობს, მაგრამ მშვენივრად გრძნობს, რომ პროლეტარი მართალია..."

ყრილობაზე მწვავე, ბრძოლა გაჩაღდა. ტროცკისტები და „მემარცხენე კომუნისტები", უგულებელყოფდნენ რა განვითარების ობიექტურ კანონებს და არ სჯიოდნენ შეხსძლებლობა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებისა მსოფლიო რევოლუციის გაუმარჯვებლად, პროპაგანდას უწევდნენ რევოლუციისათვის გარედან „წაბიძგების" ანტიმარქსისტულ თეორიას. ყრილობაზე თანამომხსენებლად „მემარცხენეებმა" გამოიყვანეს ბუხარინი, რომელიც იმეორებდა გაცვეთილ ფსევდორევოლუციურ ფრაზებს, ამტკიცებდა, რუსეთის რევოლუციის დალუპვა გარდუვალია, თუ საერთაშორისო რევოლუცია არ მოხდაო, და საჭიროა დაუყოვნებლივ დავიწყოთ გერმანიასთან რევოლუციური ომი.

ყრილობაზე პარტიამ მოიპოვა გამარჯვება ტროცკისტებსა და „მემარცხენე კომუნისტებზე", მათი წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. ყრილობამ მხარი დაუჭირა ცენტრალური კომიტეტის ხაზს. 30 მარტ 12-ის წინააღმდეგ, 4-მა თავი შეიკავა, მოიწონა ლენინური რეზოლუცია ბრესტის ზავის ხელმოწერის შესახებ. საბჭოთა ქვეყანა ომიდან გამოვიდა. ეს იყო ლენინური საგარეო პოლიტიკის დიდი გამარჯვება, რომლის ისტორიული მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შეიფასო.

გაითვალისწინა რა კაპიტალისტური გარემოცვის არსებობა და ამასთან დაკავშირებით საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო გამოსვლების შესაძლებლობა, VII ყრილობამ მოუწოდა პარტიასა და ხალხს, განემტკიცებინათ სოციალისტური სამშობლოს თავდაცვა, გაეძლიერებინათ რევოლუციური დისციპლინა.

ბრესტის ზავის დადება შესანიშნავი ნიმუში იყო ლენინის, ბოლშევიკების პარტიის მიერ რევოლუციური კომპრომისის მარქსისტული ტაქტიკის გამოყენებისა, მტრულ იმპერიალისტურ დაჯგუფებებს შორის წინააღმდეგობათა გამოყენებისა სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების ინტერესებისათვის.

50 წლის წინათ პარტიის VII ყრილობამ გამოთქვა კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გარდუვალობის მტკიცე რწმენა და საზეიმოდ დადო პირობა, რომ რუსეთის პროლეტარიატი კვლავაც დაუჭერდა მხარს ძმურ რევოლუციურ მოძრაობას მთელ მსოფლიოში.

კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი ერთგული არიან თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობისა. მათ შეეკინდათ და კვლავაც შეაქვთ უდიდესი წვლილი მშვიდობის განმტკიცებაში, აგრესიული იმპერიალისტური ძალების ალაგმვაში, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძლიერების განმტკიცებაში, ისინი ყოველთვის უწევდნენ და უწევენ ძმურ დახმარებას დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლ ყველა ხალხს.

III.

დღეს, ისევე როგორც 50 წლის წინათ, ბრძოლა მშვიდობისა და ხალხთა თავისუფალი განვითარებისათვის კომუნისტებისა და მთელი პროგრესული ძალების ყურადღების ცენტრში დგას, ვინაიდან იგი განუყოფელია იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლისაგან.

იმპერიალიზმს თავისი აგრესიული ბუნება არ შეუცვლია, იგი ცდილობს გააჩაღოს ახალი დამპყრობლური ომები, მოაწყოს რეაქციული სამხედრო გადატრიალებანი, ისწრაფვის ჩაახშოს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, თავი მოაწიოს მსოფლიო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის შეცვლას თავის სასარგებლოდ. ამერიკელი იმპერიალისტები აფარეთოებენ დანაშაულებრივ ომს გმირი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ისინი მხარს უჭერენ ისრაელის აგრესიას არაბი ხალხების წინააღმდეგ, ბონის რევანშისტულ მისწრაფებებს, აწყობენ პროვოკაციებს კუბის რესპუბლიკის, სახალხო კორეის წინააღმდეგ, ერევიან სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის, ლათინური ამერიკის, აფრიკისა და მსოფლიოს სხვა რაიონების ბევრი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკა, სოციალისტური რევოლუციიდან აღმოცენებული და რევოლუციური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული, იყო და კვლავ არის უმნიშვნელოვანესი იარაღი სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში, მისი მიზანია უზრუნველყოს ხელსაყრელი საერთაშორისო პირობები სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის, მხარი დაუჭიროს ხალხთა ბრძოლას სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, იხსნას კაცობრიობა იმპერიალისტური ომებისაგან და უზრუნველყოს მტკიცე მშვიდობა.

ისტორიული გამოცდილება მოწმობს იმას, რომ რევოლუციები ობიექტური კანონებით ხდება და ვითარდება და არავითარ სუბიექტურ სურვილებს, ულტრამემარცხენე ფრაზებსა და მაღალფარდოვან ავანტიურისტულ ლოზუნგებს არ შეუძლია მათი გამოწვევა. „რევოლუციები, — გვასწავლიდა ლენინი, —შეკვეთით კი არ ხდება, ამა თუ იმ მომენტს კი არ უფარდდება, არამედ ისტორიული განვითარების პროცესში მწიფდება და იფეთქებს იმ მომენტში, რომელიც განპირობებულია მთელი რიგი საშინაო და საგარეო მიზეზების კომპლექსით".

ცხოვრებამ მთლიანად გაამართალა რევოლუციისათვის გარედან „ბიძგის მიცემის" ანტიმარქსისტული თეორია, რომელიც გამსჭვალულია რევოლუციის შინაგანი ძალებისადმი რწმენის უქონლობით და რომელიც მუშათა კლასსა და მის კომუნისტურ ავანგარდს იმისათვის განწირავს, რომ პასიურად ელოდონ რევოლუციებს სხვა ქვეყნებში.

თავის მთავარ ზემოქმედებას რევოლუციური პროცესის განვითარებაზე მსოფლიო სოციალიზმი ახდენს თავისი ეკონომიური წარმატებებით, რომელებისთვისაც საუკეთესო პირობებს ქმნის მშვიდობის ვითარება. ბრძოლა მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ხელს უწყობს რევოლუციური მოძრაობის ყველა ფორმის — პროლეტარული, დემოკრატიული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას, რევოლუციის პოლიტიკური არმიის შექმნას, რომელიც აუცილებლად საჭიროა იმპერიალიზმზე გამარჯვებისათვის. მარქსისტებს ვერ წარმოუდგენიათ მშვიდობისათვის ბრძოლა პროლეტარიატის რევოლუციურ კლასობრივ ბრძოლასთან დაუკავშირებლად.

მარქსიზმ-ლენინიზმი მტერია დოგმატიზმისა, წვრილბურჟუაზიული რევოლუციურობისა, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ობიექტური კანონების უგულებელყოფა, რევოლუციური ლოზუნგებით ჯამბაზობა. თუ მარქსიზმთან კავშირი არ გაწყვეტია, ისე არ შეიძლება განიხილავდე მშვიდობისათვის ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური მოძრაობის სხვადასხვა ფორმებისაგან მოწყვეტით. ვ. ი. ლენინი მკვეთრად გმობდა წვრილბურჟუაზიულ რევოლუციურობას, „რომელიც „ზავის ფსიქოლოგიას" „უმოქმედოდ" აცხადებს, ხოლო მუყაოს ხმლის ქნევას „მოქმედებად" თვლის".

კომუნისტური პარტია ყოველთვის იბრძოდა „მემარცხენე" გადახრისა და მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მარქსიზმ-ლენინიზმისაგან გადახრები განსაკუთრებით საშიში ხდებიან, როცა ისინი უერთდებიან ნაციონალიზმის, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ბეგემონიზმის გამოვლინებებს. ამის მაგალითს წარმოადგენს მაო ძე-დუნის ჯგუფის პოლიტიკური კურსი, რომელშიც ერთმანეთს შეერწყა „მემარცხენე" ფრაზით დაფარული ვერცლბურჟუაზიული ავანტიურიზმი და დიდმპყრობელური შოვინიზმი და რომელიც უდიდეს ზიანს აყენებს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის საქმეს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა ინტერესებს, მსოფლიო სოციალიზმის ინტერესებს.

კომუნისტური და მუშათა პარტიები აძლიერებენ ბრძოლას თავიანთი რიგების ერთიანობისა და შეკავშირებისათვის, მტკიცედ ახსოვთ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცების, მსოფლიო რევოლუციური პროცესის წარმატებით განვითარების გარანტიაა.

ვ. გაბუნია.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მიმდინარე წლის მეორე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: ბ. ღვინჯილია — წარმატებით ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები; ვ. გოზალიშვილი — თავმჯდომარის ერთი დღე; დ. წიკწიკაძე — მოწინავე გამოცდილება ყველას კუთვნილებაა; ბ. აბრამიშვილი — ჰექტარზე — 250 ცენტნერი ვაძლი; ჭ. ბრაგვაძე — დაფასებული ამაგი; შ. ჭოტუა — აგრონომი — მინდვრის მეთაური; ვ. პაპუნიძე — საქართველოს სსრ მეცხოველეობის მაღალი ეფექტურობისათვის; ი. ჯანიაშვილი, ე. კეჩხუაშვილი — მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზები; ა. გიორგობიანი — გავაფართოოთ აღრიცხვის მექანიზაცია; ნ. თანდაშვილი — მეევნახეობის ინტენსიფიკაცია კახეთის ზოგიერთ რაონებში; ნ. ლომსაძე — კოლმეურნეობის საერევნო-ზოო კომისია; გ. გობეჯიშვილი, თ. ქლიბაძე — როგორ შევადგინოთ ტექნოლოგიური რუკა; ა. ოსეფაიშვილი — მთაგორიანი ადგილების მომზადების მექანიზაცია ვაზისა და ხეხილის გაშენებლად. აგრეთვე სხვა მასალები.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა" № 2

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბ. ტარსაიძის სახელობის თვალის სნეულებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო ზიგელით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, დაარსების სამოცდამეთხუთმეტე წლისთავთან დაკავშირებით, ბ. ტარსაიძის სახელობის თვალის სნეულებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაპაძე**

თბილისი, 1968 წლის 6 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. დ. ციხისთავის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების სამმართველოს უფროსი ამხ. მიხეილ დავითის-ძე ციხისთავი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაპაძე**

თბილისი, 1968 წლის 6 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

1967 წლის 21 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება **„შვილების სარჩენად ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესის გაუმჯობესების შესახებ".** ამ ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 28 თებერვლის ბრძანებულებით ცვლილებანი შეტანილი საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში.

იმასთან დაკავშირებით, რომ უმრავლეს შემთხვევაში ალიმენტს იხდიან ნებაყოფლობით და აუცილებელი არ არის მიმართოთ დახმარებისათვის სასამართლოს, ბრძანებულებით გათვალისწინებულია, რომ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ადმინისტრაცია, სადაც მშობელი მუშაობს, ვალდებულია დაუკავოს მას ხელფასიდან ალიმენტი მისი განცხადებით საფუძველზე და გაუგზავნოს იგი გამცხადებლისთვის მითითებულ პირს, რასაკვირველია, ეს წესი არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში ალიმენტის დანიშვნისათვის სასამართლოში მიმართვის უფლებას.

ბრძანებულებით დაწესდა, რომ მშობელს, რომელიც კოლეგიურია, აგრეთვე მუშა ან მოსამსახურეა და აქვს შემოსავალი საკარიდამო ნაკვეთიდან, გარდა კოლეგიურების საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობისათვის მიღებული შემოსავლებიდან და ხელფასიდან ალიმენტის გადახდევინებისა, შეიძლება გადახდევინონ აგრეთვე განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელსაც დაადგენს სასამართლო იმ შემოსავლის შესაბამისად, რასაც იგი იღებს დამხმარე მეურნეობიდან.

ალიმენტის დროული გადახდის უზრუნველსაყოფად ბრძანებულებით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებანი:

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ახდენს შვილების ალიმენტის დაკავებას, ვალდებულია სამი დღის ვადაში აცნობოს სასამართლო აღმასრულებელს და ალიმენტის შემლებ პირს ალიმენტის გადამხდელის სამუშაოდან წასვლა, აგრეთვე მისი ახალი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი, თუ ეს მისთვის ცნობილია. მოქალაქე, რომელსაც ალიმენტის გადახდა ეკალება, ვალდებულია იმავე ვადაში შეატყობინოს სასამართლო აღმასრულებელს სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის, ავრეთვე დამატებითი გამომუშავების (შეთავსებითი სამუშაო და სხვა) შესახებ.

თუ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ან ალიმენტის გადამხდელი მოქალაქე არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგენენ ამ ცნობებს, სასამართლოს შეუძლია დამნაშავე თანამდებობის პირნი ან მოქალაქენი დააჯარიმოს თანხით 10 მანეთამდე.

როდესაც ხელფასს ან სხვა შემოსავალს — პენსიას, სტიპენდიას — იღებს ის მოქალაქე, რომელსაც პასპორტში აქვს აღნიშნული იმის შესახებ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად მას ევალება ალიმენტის გადახდა, აღმასრულებელი ფურცლის შემოსვლამდე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია დაუკავოს მას ალიმენტი და ამის შესახებ აცნობოს სასამართლო აღმასრულებელს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დამნაშავე თანამდებობის პირნი დააჯარიმოს თანხით 10 მანეთამდე.

ახლად მიღებული ბრძანებულებით სამეურვეო ორგანოებსა და სამაგალითო დაწესებულებებს მიენიჭათ უფლება სასამართლოს მეშვეობით გადაახდევინონ მშობლებს სრული სიტელმწიფო უზრუნველყოფაზე მყოფი შვილების სარჩენი სახსრები ან ოდენობით, რაც ალიმენტის გადახდისათვისაა დადგენილი. იმასთან ერთად მშობლების მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია გათავისუფლოს ისინი ამ სახსრების გადახდისაგან. ასეთ შემთხვევაში მშობელს ალიმენტს აღარ გადაახდევინებენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 28 თებერვლის ბრძანებულება აადვილებს ალიმენტის გადახდევინებას, ამაღლებს თვით ალიმენტის გადამხდელი მოქალაქის, საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას ალიმენტის დროულად და სრულად გადახდევინებისათვის. (საქ ფეს).

ნოღაეთის გზაჯვარედინზე

რეპორტაჟი ზამთრის საძოვრებიდან

ჟორეული ნოღაეთის თვალუწვდენელ ტრამალებში იზამთრებს ხოლმე ჩვენი რესპუბლიკის მომთაბარე რაიონების — დუშეთის, ყაზბეგის, ლენინგორის, თიანეთისა და ჯავის კოლმეურნეობათა ცხვრის მრავალათასიანი ფარები.

კასპისპირეთში ზამთარი ყოველთვის ერთნაირი როდია. ქართველ მეცხვარეებს ახლაც კარგად ახსოვთ 1954 წლის სუსხიანი ზამთარი, როცა ბუნების გამძვინვარებულმა სტიქიამ აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა მათს ნაშრომ-ნაამაგარს. ათასობით ცხვარი გაიყლეტა ქარიშხლისაგან, საკვების უქონლობისაგან.

იმ ზამთრის შემდეგ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა საჭირო დასკვნები გააკეთეს. ყოველ ზაფხულობით, როცა ცხვარი იალაღებზე იმყოფება, კასპისპირეთის ტრამალებში გაჩაღებულია კოლმეურნეთა და მექანიზატორთა თავდადებული შრომა. თიბავენ ბალახს, ეზიდებიან და სიზამთრო ბინებთან ზვინებად დგამენ ყუთიან თივას, რემონტს უკეთებენ ცხვრის ფარებს, ბაკებს, საწველიებსა და მწყემსთა საცხოვრებელ ბინებს, ამარაგებენ კონცენტრირებულ საკვებს. ამ შემთხვევაში მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, როგორი იქნება მოსავალი ზამთარი — მკაცრი თუ მარაგიანი.

— მეცხვარის გულდამშვიდება ვის გაუჭირა. გვახსენდება ალ. ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონებიდან" სვიმონა გიგაურის სიტყვები:

„ცხორს ყველა ემტერების: ნადირი, კაცი, ამინდი — ყველა ცხორის მტერია, ყველა იმას ეტანების... მაგითია მეცხვარე ბედშავი, ყველა — ხელობის კაცს შეუძლია მოისვენოს, გადასდოს საქმე, მაგრამ მეცხვარეს კი არა... ავდარში ცხონ მუშა თავს შეაფარებს და მწყემსი კი ცხორთან უნდა მოკვდეს... ღამეა და ცალი თვალი გასულილი უნდა ეჭიროს, ან ცხორი არ დაუფრთხეს, ან ნადირმა არ გაიტაცოს და ან ქურდმა... მწყემსისაგან არც ღღეა და არც ღამე!".

მწერლის თქმისა არ იყოს, მართლაც წარმოიდგინეთ მწყემსის მდგომარეობა, ღია ცის ქვეშ, ბნელ ღამეს, დარია და ავდარში; განუწყვეტელი კოკისპირული წვიმა, საშინელი გამჭვალავი ქარი — და ცხვარს კი მაინც ვერ მომორჩებისარ, თავი ვერ შეგიფარებია, იმიტომ რომ ცხვარს ვერ მოაცდ

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრა

(დასასრული)

შეიძლება მხოლოდ ამ ერთობისათვის ბრძოლით.

აგოსტინო ჯაკომინი, სან-მარინოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის წევრმა, აღნიშნა, რომ მთელი იმპერიალიზმი, და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი წრეები ყოველი ქვეყნის მშვიდობის, დემოკრატიის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გაფფრთებული მოწინააღმდეგენი არიან. 1957 წელს იმპერიალიზმის მსხვერპლი გახდა სან-მარინოს რესპუბლიკის დემოკრატიული წყობილება, სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. მაშინ ადგილობრივმა მემარჯვენეებმა, რეაქციონერებისა და ამერიკელი იმპერიალისტების წაქეზებითა და მხარდაჭერით, მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება სახალხო მთავრობის წინააღმდეგ. იმპერიალიზმის არსი ყველგან და ყოველთვის უცვლელია— იგი გამოდის ხალხთა ზოგადაცობრიული და სოციალური მისწრაფებების წინააღმდეგ. ხალხებმა თავიანთი ავანგარდის — კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობით უღმობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ მსოფლიო ანდაბრმის რეაქციულ სტრატეგიას, მაგრამ ამასთანავე უნდა გაითვალისწინონ ცალეული ქვეყნების მდგომარეობის თავგასებურებანი.

სწორედ ამიტომ უნდა შეიკრიბოს კომუნისტური და მუშათა პარტიების დიდი ოჯახი და შეკავშირებული გამოვიდეს ხალხთა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისთვის, საერთო მტრის — იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენი მოძრაობა უფრო ხშირად უნდა იკრიბებოდეს საერთაშორისო თათბირებზე, რათა თავისუფლად ვუზიარებდეთ ერთმანეთს აზრებსა და გამოცდილებას მომენტების მოთხოვნათა შესაბამისად, განვსაზღვრავდეთ მოქმედების გეზს, ამასთან პატივს ვცემდეთ ცალკეულ პარტიათა დამოუკიდებლობას.

ბარბაროსული აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, ისრაელის თავდასხმა არაბულ ქვეყნებზე, სახელმწიფო პუტჩი საბერძნეთში, პროვოკაციები ჩინეთის, კუბის, კორეის, კამბოჯისა და ლაოსის წინააღმდეგ, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეების რევანშიზმი, რომელიც მუდმივ საფრთხეს უქმნის ევროპის მშვიდობას, — ყოველივე ეს მოითხოვს, რომ მთელი ანტიიმპერიალისტური მოძრაობა დაუყოვნებლივ და მტკიცედ გაერთიანდეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ შეხვედრამ უნდა მოამზადოს საერთაშორისო თათბირი ფართო მასების მობილიზაციის ინტერესებისათვის. მოსკოვის 1968 წლის დიდმა თათბირმა ფართო საჯაროობა უნდა მოიპოვოს, რათა მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის შთამაგონებელი და მიმზიდველი მაგალითი გახდეს ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში. იმიტომ სწორი იქნება უზრუნველყოთ, რომ ამ თათბირის დაესწრონ. მთელი საერთაშორისო პრესის წარმომადგენლები. დასასრულ მინდა გთქვა, აღნიშნა ორატორმა, რომ თათბირზე არ უნდა გავამწვავოთ ჩვენი უთანხმოებანი რომელიმე პარტიის დაგმობით. პირიქით, უნდა განვამტკიცოთ ერთობისა და ძმობის სულისკვეთება სოციალიზმის გამარჯვების გზით ჩვენი უძველესი წინსწალისათვის.

ბი უან დანენტი, გვადელუპის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, თავის გამოსვლაში შეეხო იმ სერიოზულ შედეგებს, რომლებიც თავს იჩენს მის ქვეყანაში საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში არსებულ უთანხმოებათა გამო. მან ილაპარაკა კომუნისტური პარტიის დამოუკიდებლობაზე და ხაზი გაუსვა, რომ თითოეულ პარტიას უფლება აქვს სრულიად დამოუკიდებლად აირჩიოს თავისი პოლიტიკური ხაზი და გამოიყენოს დანარჩენ პარტიათა გამოცდილება.

გვადელუპის კომუნისტური პარტიის აზრით, ორმხრივი ან მრავალმხრივი შეხვედრები, საერთაშორისო თათბირის მოწვევის საჭიროება ნოემბერში. ორატორმა დაგმო გამთიშველობა და მომძე კომუნისტურ პარტიებს მოუწოდა გააანალიზონ კომუნისტური მოძრაობის რიგებში უთანხმოებათა მიზეზები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მათს ავანგარდულ როლს ხალხთა მასებში.

დავიდ ჰენინგმა, ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ისრაელის დელეგაციის სახელით მხარი დაუჭირა მიმდინარე წლის დამლეგს კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირის მოწყობის ინიციატივას.

ისრაელის დელეგაციამ წინადადება წამოაყენა მოიწვიონ თათბირზე და ჩაბაან შეადგონ მოსამზადებელ მუშობაში იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი, აგრეთვე 1960 წლის შემდეგ შექმნილი მომძმე პარტიები. დელეგაციამ გამოთქვა წუხილი იმის გამო, რომ რუმინეთის დელეგაციამ დატოვა საკონსულტაციო შეხვედრა.

ორატორმა აღნიშნა, რომ თათბირმა მთელი ყურადღება უნდა დაუთმოს კომუნისტური მოძრაობის რიგების შეკავშირებას, ბრძოლას ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ კეტნაზმი, აგრეთვე იმას, რომ შეიძლებოდეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპის შესაბამისი ძირითადი დოკუმენტი.

ომმა ახლო აღმოსავლეთში, რომელიც გასული წელს იფეთქა, დაიწყო, დასვა საკითხი, რომ საკირო სასწრაფოდ გაანალიზონ ლოკალური ომების ახალი იმპერიალისტური ტაქტიკა და გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები. ისრაელის დელეგაციამ ჩამოაყალიბა თავისი პარტიის პროგრამა ომის შეიგებების ლიკვიდაციისათვის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანისათვის, აგრეთვე არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრისათვის სახმრავლეთად ახალი ძალების მობილიზაციის თაობაზე.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელის ხალხ დაინტერესებულია იმპერიალიზმის წინააღმდეგ არად ხალხთან კავშირით და არა არაბთა ეროვნულ-გამამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ იმპერიალიზმთან კავშირით.

ალ ტერშმა, ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, გამოთქვა აზრი, რომ მომავალ თათბირზე განიხილონ შემდეგი საკითხები:

1. საერთაშორისო მდგომარეობაში 1960 წლიდან მომხდარი ცვლილებების ანალიზი პერსპექტიული ამოცანების განსაზღვრისათვის;

2. კომუნისტური და პროგრესული ძალების მოქმედების კოორდინაცია მშვიდობის შენარჩუნებისა და სოციალიზმის გზაზე შემდგომი პროგრესის მიზნით.

ბელგიის კომპარტიის აზრით, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის აღდგენა და განმტკიცება შესაძლებელი არა იდეოლოგიური პრობლემების აბსტრაქტული განხილვის საშუალებით, არამედ მხოლოდ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ქმედითი ბრძოლის გზით.

ორატორმა შემოიტანა წინადადება გაანალიზონ უთანხმოებათა ობიექტური საფუძვლები ამ მიზნისათვის სპეციალურად მოწვეულ კონფერენციაზე.

თავისი პარტიის სახელით მან მხარი დაუჭირა წინადადებას მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების კონგრესის მომზადების შესახებ. ითვალისწინებს რა, რომ კონგრესის მომზადება ხანგრძლივ დროს მოითხოვს, მას მიაჩნია, რომ ჯერ უნდა მოიწვიონ კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირი, და დაეთანხმა იმას, რომ ეს თათბირი მოიწვიონ მოსკოვში 1968 წლის ნოემბერ-დეკემბერში.

ბელგიის დელეგატმა შემოიტანა მთელი რიგი წინადადებანი თათბირის მომზადების მეთოდების თაობაზე და გამოთქვა აზრი მისი მიზნების შესახებ.

შემდეგ გამოვიდნენ ბოლივიის, დომინგოსა და პანამის მომძე პარტიების წარმომადგენლები.

ბუდაპეშტი, 6 მარტი. (საკდესი). გამოქვეყნდა შემდეგი ცნობა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრის 4 მარტის საღამოს და 5 მარტის დილის მუშაობის შესახებ:

ორშაბათს, 4 მარტს საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ბოლივიის, დომინგოსა და პანამის მომძე პარტიათა წარმომადგენლები.

ბოლივიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა ბრძოლა დაუჭირა ახალი საერთაშორისო თათბირის მოწვევას ანტიიმპერიალისტური ბრძოლის პრობლემების განსახილველად. მიმაჩნია, თქვა მან, რომ უნდა განვიხილოთ აგრეთვე ძირითადი იდეოლოგიური პრობლემები ერთობის განმტკიცების მიზნით.

დომინგოს კომუნისტური პარტიის აღნიშნა მან, ყველაზე აუცილებელია ბრძოლა ერთობისა და მეგობრობისათვის. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, ეს ბრძოლა ეხება ეროვნულ-გამამათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ იმპერიალიზმთან კავშირით.

ბუდაპეშტი, 6 მარტი. (საკდესი). ბოლივიის, დომინგოსა და პანამის მომძე პარტიების წარმომადგენლებმა ბევრი ლაპარაკობდნენ ამ ბრძოლის ეროვნულ-გამამათავისუფლებელ ხასიათზე, ეს ბრძოლა ეხება ეროვნულ-გამამათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ იმპერიალიზმთან კავშირით.

ბუდაპეშტი, 6 მარტი. (საკდესი). ბოლივიის, დომინგოსა და პანამის მომძე პარტიების წარმომადგენლებმა ბევრი ლაპარაკობდნენ ამ ბრძოლის ეროვნულ-გამამათავისუფლებელ ხასიათზე, ეს ბრძოლა ეხება ეროვნულ-გამამათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ იმპერიალიზმთან კავშირით.

ბუენოს აირესი, 5 მარტი. (საკდესი). **ბოლივიის კომუნისტური პარტიის** ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს **ბ. ალვარეზ** ბრძოლა ეხება ეროვნულ-გამამათავისუფლებელ ხასიათზე, ეს ბრძოლა ეხება ეროვნულ-გამამათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ იმპერიალიზმთან კავშირით.

ბუენოს აირესი, 5 მარტი. (საკდესი). **ბოლივიის**

ჩვენს არე-მარეში

უკვდავია გმირთა ხსოვნა

ორდენი 22 წლის შემდეგ

სიღნაღში, რაიონის ცენტრში გაიხსნა დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის ობელისკი. შინმოუსვლელთა ძეგლთან გაიმართა მიტინგი. სიტყვებით გამოვიდნენ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი დ. გელაშვილი, სამამულო ომის მონაწილენი — სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ბეგიაშვილი და პროფესორი ალ. გზირიშვილი, ლენინის ორდენოსანი ტრაქტორისტი ელენე ნატრაშვილი, პერსონალური პენსიონერი თ. ბუდაგიანი და სხვები.

მოსწავლეებმა ცოცხალი ყვავილებით შეამკეს გმირთა სადიდებელი ძეგლი.

თ. კახელიშვილი.

„კოლხეთის“ სტუმრები

საქართველოს კურორტებზე

საქართველოს ზღვისპირეთი ს შშვენება—კურორტი ბიჭვინთა სულ უფრო იხვეჭს პოპულარობას არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ახლა კურორტის ხელმძღვანელობის სახელზე შორეული ქალაქების მშრომელებისაგან განუწყვეტლივ მოდის მრავალი დეპეშა და განაცხადი. ისინი საკურორტო სეზონისათვის წინასწარ ითხოვენ ბიჭვინთის საგზურებს.

მართლაც, ვის არ მოხიბლავს ზღვისპირას. თვალწარმტაც ფიჭვნარში მოხდენილად ჩადგმული მრავალსართულიანი ქათქათა შენობები — სასტუმრო-პანსიონატები „ივერია“, „აფსნი“, „ბზიფი“, „კოლხეთი“, „ამრა“, „შუქურა“ და „ოქროს საწმისი“. ორი მათგანი „კოლხეთი“ და „ბზიფი“ უკვე ემსახურებიან დამსვენებლებს.

„კოლხეთში“, როგორც სხვა სასტუმრო-პანსიონატებში 156 ორადგილიანი ნომერია. საკურორტო სეზონი თვითონ მშენებლებმა გახსნეს. პირველი დამსვენებლები იყვნენ ბ. კაპანაძე, ა. სამუშენკო, ვ. ბოგატირიოვი, გ. ბრუსოვა და სხვები, რომლებიც მონაწილეობდნენ ჯანმრთელობის ამ კერის მშენებლობაში.

უფრო გვიან აქ ისვენებდა სპორტსმენთა დიდი ჯგუფი, რომელთა შორის იყვნენ მეხიკოს მომავალი ოლიმპიადის კანდიდატებიც. მიუხედავად იმისა, რომ კურორტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები ჯერ არ დამთავრებულა, ბიჭვინთაში გატარებული დღეებით დამსვენებლები დიდად კმაყოფილნი არიან.

— ვცდილობთ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ დამსვენებლებმა უკეთესად გაატარონ დრო, — განაცხადა ჩვენთან საუბარში პანსიონატის გამგემ ი. მიქელაძემ.

დამსვენებლებს გულთბილად და მზრუნველობით ემსახურებიან პანსიონატის მუშაკები მ. ტაბიძე, რ. კრიგოსიანი, ბ. ჩეხერია, ო. ფილია, ექიმი ტ. ვადენსკაია, ო. ლომონოსოვა და სხვები.

კურორტის სამედიცინო მუშაკებმა განაცხადეს, რომ ბიჭვინთაში ყოფნა განსაკუთრებით კეთილნაყოფიერად მოქმედებს იმ ადამიანების ჯანმრთელობაზე, რომლებიც გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებას უჩივიან.

ბიჭვინთას დიდი მომავალი აქვს!

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: დამსვენებელთა ჯგუფი კურორტ ბიჭვინთაში.
ფოტო ს. კოროტკოვისა.



ჯილდო დაიმსახურეს

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქში სულ უფრო ფართოდ ინერგება ვაჭრობის ახალი, პროგრესული მეთოდები. მარტო შარშან სავაჭრო ქსელი 22 ერთეულით გაიზარდა, გეგმის გადამეტებით გაიყიდა მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი და წლიური გეგმა 103,3 პროცენტით შესრულდა. ვაჭრობის სანმუშოდ მოწყობისათვის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში რუსთავვაჭრობის კოლექტივმა მეოთხე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს სსრ შინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა.

ამ დღეებში რუსთავვაჭრობის კოლექტივს გადაეცა დამსახურებული ჯილდო.

გვთავაზობს პოლონური ფირმა „მეტალოექსპორტი“

6 მარტს თბილისში გაიმართა სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა თემას „მიღწევები პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის — „მანქანების ტექნოლოგიის დარგში“. სიმპოზიუმი მოაწყო პოლონეთის საგარეო ვაჭრობის საწარმომ „მეტალოექსპორტმა“. სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ გამოჩენილი პოლონელი და ქართველი სპეციალისტები, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარმომადგენლები.

სიმპოზიუმზე სიტყვა წარმოთქვა „მეტალოექსპორტის“ საფეიქრო მანქანების ექსპორტის განყოფილების უფროსმა მარიან ბარტკევიჩმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პოლონეთის საფეიქრო მანქანათმშენებლობა პოლონეთის ინდუსტრიის ტრადიციული დარგია, რომელსაც ასი წლის ისტორია აქვს. ფირმა მსოფლიოს 54 ქვეყანას აწვდის საფეიქრო მოწყობილობას. სსრ კავშირი, ხაზი გაუსვა ბარტკევიჩმა, პოლონეთის უდიდესი საგარეო სავაჭრო პარტნიორია — საფეიქრო მანქანების ექსპორტის დაახლოებით 35 პროცენტი საბჭოთა კავშირში იგზავნება.

მოისმინეს მოხსენებანი: ლოძის საფეიქრო მანქანების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის რიჩარდ იუზვიაკისა — „მანქანების ტექნოლოგია სავარცლური დარგისათვის“ და „ვიფანის“ ქარხნის თავკერი კონსტრუქტორის მარცელი ბეზნიაკისა — „ქსოვის ტექნოლოგია ზაურერის საქსოვი დაზგების განსაკუთრებული გათვალისწინებით“. მოხსენებებს ბინის დროს უჩვენებდნენ პოლონეთის საფეიქრო მრეწველობის სიახლეთა დიაპოზიტივებს, რომელთა სერიული წარმოება მოეწყო საგარეო სავაჭრო საწარმო „მეტალოექსპორტის“ ათ ქარხანაში.

სიმპოზიუმზე პოლონელმა და ქართველმა სპეციალისტებმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს, საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ა. ოფაქიძემ განაცხადა, რომ პოლონელ მეგობართა მიღწევებმა რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის სპეციალისტთა დიდი ყურადღება მიიპყრო. მან აღნიშნა, თუ რა როლი შეასრულა სიმპოზიუმმა პოლონელ და ქართველ ფეიქართა შორის კონტაქტის დამყარებაში.

პოლონელი სპეციალისტები სიმპოზიუმს გამართავენ კიევში, მოსკოვსა და რიგაში. (საქდესი).

ყველაზე, ყველაზე უფრო...

☐ **ფულის** შემადგენლობით ყველაზე საინტერესო ტბად ითვლება სსრ კავშირის ჩრდილოეთში ბუნებრივ კალდინზე მდებარე ტბა. მასში წყალი ხუთ ფენად არის დაყოფილი.

პირველი ფენა მტკნარია, რომელიც წარმოიქმნება ყინულების დნობისა და ნალექების შედეგად. ეს ფენა უჭირავთ მტკნარი წყლის თევზებს; მეორე — ოდნავ მარილიანი წყლის ფენა — დასახლებულია მედუზებითა და კიბოსმაგვარებით; მესამეში — ზღვის მლაშე წყალში ბინადრობენ ზღვის ჯიჯა თევზები; მეოთხეში — წითელი ფერის წყალში ცხოვრობს უამრავი მეწამული ბაქტერია; მეხუთე ფენა გაყინულია გოგირდნახშირბადით.

☐ **ყველაზე** მხცოვან ყვავილად ალბათ უნდა ჩაითვალოს ვარდი, რომელიც ქალაქ ჰუნდელსჰეიმში (გფრ) ხარობს. მის ხნოვნებას 800 და შესაძლოა 1000 წლითაც განსაზღვრავენ. იგი ახლაც ყვავილობს.

☐ **მსოფლიოში** ყველაზე დიდი „უხა“ იხარშება კიევს ტბაში (მისი ფართობია 2.650 კვადრატული მეტრი), რომელიც ეკვატორიულ აფრიკაში მდებარეობს. ტბის მახლობლად მდებარე ვულკან კიტუროდან ამოხეთქილი ლავა ჩაედინება ტბაში და წყალი დუღილს იწყებს. როცა ვულკანი მშვიდდება, ადგილობრივი მცხოვრებლები ტბიდან იღებენ მოხარშულ თევზს და საკვებად იყენებენ. უკანასკნელად ასეთი „უხა“ „მოიხარშა“ 1948 წელს.

☐ **ადამიანის** მიერ აღმოჩენილი ყველაზე დიდი საფირონი ნაპოვნია მოგოკში, ბირმის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მისი წონა 63 ათასი კარატი (12,6 კილოგრამი).

☐ **მსოფლიოში** ყველაზე დიდი მარგალიტი აღმოაჩინეს ბირმელმა მარგალიტის მაძიებლებმა, იგი იწონის 86,75 გრამს და სიდიდით ახანთის კოლოფის ნახევრის ტოლია.

ტროპიკული გამგუკი ჩრდილოეთში

თვრამეტ მეტრ სიმაღლეს მიაღწია ტროპიკულ ბამბუკმა, რომელმაც პირველად იხარა ჩრდილოეთის ცის ქვეშ — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ბოტანიკური ბაღის ორანჟერეაში.

ხუთი წლის წინათ დარგული მცენარის ფესვური ვიეტნამელმა მეცნიერებმა გამოუგზავნეს საბჭოთა ბოტანიკოსებს. ეს ბამბუკი შეემატა ტროპიკულ მცენარეთა კოლექციას, რომელშიც სამი ათასზე მეტი სახეობაა წარმოდგენილი.

ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთ ორანჟერეაში ახლა იქმნება ექსპოზიცია ტროპიკული ზღვების სანაპიროებიდან ჩამოტანილი მცენარეებისაგან. (საკდესი).

ცნობის ყულაბა

„ბოლშევიკი“ — პარტიული

ქალთა დღეს მიეძღვნა

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თბილისის სპარტაკიადა ტრადიციული ასპარეზობა გახდა. იგი მეცამეტედ მოეწყო წელს. საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონობა ხვდა „ბურევესტნიკის“ სპორტსმენ ქალთა ძლიერ კოლექტივს. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს თბილისის განათლების განყოფილებისა და „განთიადის“ გუნდებმა.

„ბურევესტნიკს“ პირველი ადგილი ხვდა მძლეოსნობაში და ჭადრაკში. ამ საზოგადოების მოკვდრაკეთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ნ. გაფრინდაშვილი, ც. კახაბრიშვილი და ნ. ჩიკობავა, 15 ქულა შეაგროვა.

„გალტიკა“ — ლიდერი

თბილისის ზამთრის საცურავ აუზში გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი წყალბურთში.

გუშინ გაიმართა პირველი წრის მესამე ტურის შეხვედრები. ლენინგრადის „ბალტიკამ“ დაამარცხა გასული წლის ჩემპიონი — მოსკოვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდი და 6 ქულით ლიდერი გახდა. ისეთი გუნდები კი, როგორიც არიან მოსკოვის „დინამო“, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდები, ზედიზედ კარგავენ ქულებს.

კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილის (ბაკო) წყალბურთელებმა ფრედ — 3:3 დაამთავრეს შეხვედრა თბილისის „დინამოსთან“. აღსანიშნავია, რომ თბილისელებმა ვერ გამოიყენეს ორი ოთხმეტრიანი სჯარიმა ტყორცნა.

ლვოვის „დინამომ“ დაამარცხა ვოლგოგრადის „სპარტაკი“ 6:4. მოსკოვის, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დედაქალაქის „დინამოს“ გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 3:3.

კ. კობახიძე.

„ბურევესტნიკი“

... ...

ამ მატჩს კარდიფში შეუნელებელი ინტერესით მოელოდნენ. ბილეთები უკვე ორი დღით ადრე გაიყიდა. ეს იყო თასის მფლობელი თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა კარდიფის „კარდიფ სიტისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

პირველ ტაიმში მასპინძლები ინარჩუნებდნენ არა მარტო ტერიტორიულ უპირატესობას, არამედ სჯობნიდნენ მეტოქეს ბურთის დამუშავებით, ტემპით, კარზე იერიშებით. განსაკუთრებით ძნელი გახდა ჯონსის იერიშების მოგერიება, სწორედ ეს ფორვარდი მარცხენა ფრთიდან ჩამოწოდებულ ბურთს მიწვდა თავით და 45-ე წუთზე ანგარიში გახსნა.

პირველი ნახევრის შედეგი იყო 1:0 უელსელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ტორპედოელები ბევრად უკეთესად თამაშობდნენ, მაგრამ წონასწორობის აღდგენა ვერ შეძლეს და დამარცხდნენ 0:1.

დისკრიმინაციის წინააღმდეგ...

უველა ჰოკეისტმა ტომი სალსტენმა, რომელიც ეკუთვნის თვის გამმაღლობაში როგორც ნახევრად პროფესიონალი, სამხრეთ აფრიკის კლუბის შემადგენლობაში თამაშობდა, უარი განაცხადა გაწვევიანებია თავისი კონტრაქტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის პოლიტიკის გამო.

— საკმარისად ვნახე რასობრივი დისკრიმინაცია. იგი საშინელია, — განუცხადა სალსტენმა იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის კორესპონდენტს.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მეხიკოს ოლიმპიადაზე გაგზავნის ნარევ გუნდს, და მე იმედი მაქვს, რომ ფერადკანიან მძლეოსნებს ადამიანურად მოეპყრობიან, მაგრამ შემდეგ ისინი წინანდელ პირობებში იცხოვრებენ, — თქვა სალსტენმა.

მეორე ცნობილმა შეკედმა მოთამაშემ ნილს ნილსონმაც იმავე მიზეზით უარი განაცხადა ეთამაშა სამხრეთ აფრიკაში. (საკდესი).

საფარიკაო ბილიკებზე

სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ დარბაზში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საქართველოს თასის გათამაშება ფარიკაობაში. შეჯიბრებაში წარმატება თბილისელებს ხვდათ.

რაბორიტე ქალთა ასპარეზობაში უძლიერესი იყო **რ. კეკელია**, ვაჟთა შორის — **ბ. მატიტაშვილი.** დაშნით მებრძოლთა შორის ყველას სძლია **შ. სულამანიძემ**, ყველაზე ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი ხმლით მოფარიკაეთა ტურნირში. აქ პირველი ადგილი დაიკავა **ნ. ასათიანმა.**

გამარჯვებულებს გადაეცათ გარდამავალი ჯილდოები — თასები.

„სპარტაკი“ ჩემპიონობას ემიზნებს

კარგა ხანია კალათბურთელთა ასეთი მწვავე ჩემპიონატის მოწმენი არ ვყოფილვართ. ეს იგრძნობა თითქმის ყოველ ტურში, ყოველ მატჩში. რა თქმა უნდა, მთავარი ბრძოლა ლიდერთა ჯგუფში მიმდინარეობს, სადაც ოქროს მედლების მთავარი პრეტენდენტები არიან ლენინგრადის „სპარტაკის“, თბილისის „დინამოსა“ და კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვებმა ფარ-ხმალი დაყარეს და ადვილად თმობენ პოზიციას.

მაგალითად, ტარტუს „კალევი“ არ მიეკუთვნება „ოქროს მაძიებელთა“ რიცხვს. მაგრამ ამა გავიხსენოთ მისი 5 მარტის მატჩი თბილისის დინამოელებთან. მართალია, „კალევმა“ წააგო ეს შეხვედრა 69:71 (36:33), მაგრამ ეს იყო დაახლოებით ორი თანაბარი სიძლიერის გუნდის პაექრობა.

კიდევ ორი მატჩი შედგა 5 მარტს. ლენინგრადის სპარტაკელებმა დაამარცხეს რიგის ვეფი 76:51 და განიმტკიცეს ლიდერობა. სსრ კავშირის ჩემპიონმა — ცსკა-მ მოუგო ბაქოს „ნეფტიანიკს“ 95:71.

6 მარტამდე გამართულ შეხვედრათა შედეგებით ლენინგრადის „სპარტაკს“ 27 თამაშიდან 20 ქულა ჰქონდა, თბილისის „დინამოსა“ და კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდებს — 26 თამაშიდან 18-18 ქულა.

ს. გლიგორიჩი ემგზავრება

არც თუ დიდი დრო დარჩა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩების დაწყებამდე. რვავე მონაწილე უკვე შეუდგა მზადებას მომავალი პასუხსაგები შეხვედრებისათვის. როგორც ცნობილია, მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მ. ტალის მეტოქეა იუგოსლავიის არაერთგზის ჩემპიონი ს. გლიგორიჩი, რომელსაც სატურნირო ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს. ეს მატჩი შედგება იუგოსლავიაში.

მ. ტალთან შესახვედრად უკეთ მომზადების მიზნით იუგოსლავმა გროსმაისტერმა გადაწყვიტა ათპარტიან მატჩში შეხვედროდა ჰოლანდიელ გროსმაისტერს — ია-ჰეინ დონნერს. ამ მატჩში უკვე გათამაშდა 5 პარტია. წინ არის ს. გლიგორიჩი — 3,5:1,5.

რ. ქორჩილავა

ბარდაიეველა აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მეორე ქირურგიული განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სკკპ წევრი 1921 წლიდან რაჟდენ პავლეს-ძე ქორჩილავა.

რ. ქორჩილავა დაიბადა 1893 წელს აბაშის რაიონში, სოფელ დიდ კვათანაში, გლეხის ოჯახში.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1921 წლიდან. 1921-1931 წლებში მუშაობდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისტემაში ჯერ სენაკის მაზრის და ქ. ფოთის პროკურორად, ხოლო შემდეგ თბილისის კავკასიონეთ-ბული სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების უფროს მოსამართლედ.

1931 წელს რ. ქორჩილავა შედის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა ტუბერკულოზის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, ორჯონიკიძის (ხარაგაულის) რაიონგანყოფილების გამგედ, საქართველოს ჯანსაღკომის საპენდიმო სამმართველოს უფროსად, ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის დირექტორად.

1941 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში და 1942 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა ევაკოჰოსპიტლების უფროსად. საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში.

აქტიური საზოგადოებრივი მუშაკის, უმწიკვლო, კეთილშობილი ადამიანისა და გულისხმიერი მეგობრის რ. ქორჩილავას ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

... ...

ლენტები, ოთხმოცდაათი გაზაფხული უკან მოიტოვა სოფელ ლეუშერის „მკვიდრმა ირონიამ“ ჩარკვევანმა. რაიონში მას იცნობენ, როგორც კარგ მონადირეს.

ამ ჭარმაგ მოხუცს სულ მოუკლავს 70 დათვი, 14 მგელი, 25 მელა, მრავალი კვერნა, ფოცხვერი, გარეული კატა, წავი, მაჩვი და ასეულობით სხვა ნადირი და მტაცებელი ფრინველი. (საკდესი).

... ...

ლენინგრადი, ოთხმოცდაათი ... ...